

## თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტსა

და

საჯარი სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის  
სახელმწიფო საზღვაო აკადემია შორის

ქ. ბათუმი

10 ოქტომბერი, 2019 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის, ასოცირებული პროფესორის, მერაბ ხალვაშის სახით და მეორე მხრივ საჯარი სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (შემდეგში „აკადემია“), წარმოდგენილი აკადემიის რექტორის, სრული პროფესორის, ირაკლი შარაბიძის სახით (შემდგომში „მხარეები“), თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

### 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ურთიერთთანამშრომლობა.

### 2. მემორანდუმის მიზანი, ამოცანები და მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესიული განათლების და ადამიანური რესურსების განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში „პროგრამის“) განხორციელებისა და სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

2. სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბების მიზნით მხარეები მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება).

3. მემორანდუმის ამოცანებია:

ა) სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით მხარეებმა მოაწიონ ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები განათლების სფეროს თანამედროვე პრობლემებსა და განათლების მართვის საკითხებზე;

- ბ) მხარეებს შორის შეთანხმებული კონტინგენტის (არანაკლებ 15 და არაუმეტეს 30 სტუდენტისა) ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნეს მხარეთა შორის თანამშრომლობა და სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის (5 კრედიტი) გაცლა;
  - გ) დაიგეგმოს თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების რეალიზაციისთვის აუცილებელი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;
  - დ) მოხდეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის გაცვლა/გაზიარება;
  - ე) საჭიროების შემთხვევაში მხარეებმა ისარგებლონ ერთმანეთის კუთვნილი ბაზითა და საგანმანათლებლო რესურსით;
  - ვ) უზრუნველყოფილი იქნეს საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობების მართვის გაზიარება-გაცნობა.
4. მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
  5. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.
  6. წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულება თუ მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის, იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

### 3. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი ინახება მხარეებთან;
2. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
3. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და ბსუ-ს პროფესიული განათლების და ადამიანური რესურსების განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედებიდან ხუთი წლის ვადით.

6010, საქართველო, ბათუმი,

№35/32 ნინოშვილის ქ. რუსთაველის ქ.



რექტორი, ასოც. პროფ. მერაბ ხალვაში

6010, საქართველო, ბათუმი,

№53 რუსთაველის ქ.

რექტორი, სრული პროფესორი ირაკლი შარაბიძე